პროფ. ლუკას სოსოეს შესახებ

პროფესორი ლუკას სოსოე (LUKAS SOSOE) – სამართლისა და პოლიტიკური ფილოსოფიის სპეციალისტი. 2002 წლიდან ფილოსოფიის პროფესორია ლუქსემბურგისა და მესის უნივერსიტეტებში.
1981-1982 წლებში იგი იყო ბილეფელდის უნივერსიტეტის ზოგადი სოციოლოგიის კათედრის ასისტენტი (ნიკლას ლუმანთან), ხოლო 1980-1987 წლებში მოღვაწეობდა შვეიცარიაში, ფრიბურგის უნივერსიტეტში.
1989-1991 წლებში სოსოე წარადგინეს ეთიკისა და სამართლის ფილოსოფიის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, მონრეალის უნივერსიტეტში, ხოლო 1990-1991 წლებში ტორონტოს უნივერსიტეტში ეთიკის თანამედროვე თეორიებს ასწავლიდა. 1991 წლიდან ის არის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტის ტენუირებული პროფესორი ეთიკისა და სამართლის ფილოსოფიის მიმართულებით, 1993 წლიდან კი მაკჯილის უნივერსიტეტის სამართლის, მედიცინისა და ეთიკის ცენტრის პროფესორია თანამედროვე ფილოსოფიის, ეთიკისა და ბიოეთიკის განხრით. გარდა ამისა, 1993-1994 წლებში ის ასწავლიდა ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში. 1994-1995 წლებში იყო ტიუბინგენის უნივერსიტეტის მოწვეული მკვლევარი ჰუმბოლდტის ფონდის სტიპენდიის ფარგლებში. პროფესორი სოსოე უძღვებოდა კურსებსა და სემინარებს კვებეკისა (1998-2002) და ლუცერნის უნივერსიტეტებში (2003-2004).

ბიბლიოგრაფია:

ავტორი:
• *PHILOSOPHIE DU DROIT*. [*სამართლის ფილოსოფია.*] PRESSES UNIVERSITAIRES DE FRANCE, პარიზი, 1991 (თანაავტორი: ალენ რენო);
• *SELF, DEMOCRACY AND PRACTICAL REASON / SUBJECTIVITÉ, DÉMOCRATIE ET RAISON PRATIQUE*. [*თვითი, დემოკრატია და პრაქტიკული გონება.*] L'HARMATTAN, პარიზი, 1998;
• *BIOÉTHIQUE ET CULTURES DÉMOCRATIQUES*. [*ბიოეთიკა და დემოკრატიული კულტურები.*] მონრეალი, პარიზი, 1996 (თაანავტორი: დრ. მედ. ივეტ ლაჟენესი);
• *DIVERSITÉ HUMAINE. MULTICULTURALISME, DÉMOCRATIE ET CITOYENNETÉ*. [*ადამიანური მრავალფეროვნება. მულტიკულტურალიზმი, დემოკრატია და მოქალაქეობა.*] • PRESSES UNIVERSITAIRES DE LAVAL, ლავალი, L'HARMATTAN, პარიზი, 2002;
• *GATTUNGSETHIK. SCHUTZ FÜR DAS MENSCHLICHE GESCHLECHT*. [*გვარეობის ეთიკა. ადამიანთა მოდგმის დაცვა.*] PETER LANG, ბერნი, 2005.

გამომცემელი:
• *LES SOURCES DE LA PHILOSOPHIE KANTIENNE AU XVIIE ET XVIIIE SIÈCLE*. [*კანტის ფილოსოფიის წყაროები XVII და XVIII საუკუნეებში.*] VRIN, პარიზი, 2005 (რობერტ თაისთან ერთად).